თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2024 წლის 9 თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-746 598.5) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 667 504.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 936 417.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტი
	145,783.3	936,417.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	754,335.8
სესხები	144,598.3	180,908.1
აქციები და სხვა კაპიტალი	1,185.0	1,174.0

*ვალუტა და დეპოზიტებში 754 335.8 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 1 577 334.5 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2024 წლის 1 ოქტომბერს განისაზღვრა 2 331 670.2 ათასი ლარით (მათ შორის, კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით განთავსებული 594 298.0 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N845 განკარგულების შესაბამისად)).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 268 913.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტი
	725,610.6	268,913.9
ვალუტა და დეპოზიტები	455,610.6	0.0
სესხები	270,000.0	268,913.9

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 1 414 102.4 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2 339 082.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- 1 022 368.3 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;

- 989 276.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 327 436.8 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- ვალუტა და დეპოზიტები - 0.5 ათასი ლარი;
- ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა - 0.5 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტი
	2,121,872.2	2,339,082.3
საშინაო	1,057,000.0	1,022,368.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1,057,000.0	1,022,368.3
საგარეო	1,064,872.2	1,316,714.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.5
სესხები	1,064,872.2	1,316,713.0

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები*	**327,436.8**
WB	192,976.1
AIIB	2,306.0
ADB	68,038.1
საფრანგეთი	64,116.6
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**989,276.2**
WB	231,679.6
NEFCO	344.4
IFAD	9,112.2
EIB	198,516.7
EBRD	46,183.4
AIIB	23,291.0
ADB	407,575.2
კუვეიტი	1,005.3
საფრანგეთი	9,645.0
გერმანია	61,923.6
სულ კრედიტები	**1,316,713.0**

**შენიშვნა: მოიცავს „COVID-19 წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში 2024 წელს მიღებულ დაფინანსებას AIIB-დან 2 306.0 ათას ლარს და WB-დან 1 230.5 ათას ლარს, ხოლო საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის (WB) – 191 745.6 ათასი ლარს.*

ვალდებულებების მართვის ოპერაციების (Liability Management Operations - LMO) ფარგლებში 2023 წლის მეორე ნახევრიდან ტარდება გამოსყიდვის (Buy Back) ოპერაციები, ხოლო 2024 წლიდან გაცვლის

(Switch) ოპერაციები[1]. 2024 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 54 გამოშვების, 7 გამოსყიდვის და 3 გაცვლის (გამოშვება/დაფარვა) აუქციონი. გამოშვებულ იქნა 2 729.6 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები. აქედან სახაზინო ობლიგაციები - 2 319.5 მლნ ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“ (მათ შორის 149.5 მლნ ლარი წარმოადგენს გაცვლის ოპერაციის შედეგად წარმოქმნილ მოცულობას). საანგარიშო პერიოდში დაიფარა 1 683.8 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის ფასიანი ქაღალდი (მათ შორის 290.0 მლნ ლარის 7 გამოსყიდვის ოპერაციის შედეგად და 150.0 მლნ ლარის 3 გაცვლის ოპერაციის შედეგად დაფარული მოცულობა ნომინალში). ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 15.0% - ერთ წლამდე ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 85.0% - ერთ წელზე მეტი ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით საშინაო ვალის ზრდამ შეადგინა 2 571 225.3 ათასი ლარი (ვალდებულებების ზრდა LMO ოპერაციების გათვალისწინებით შეადგენს 2 722 947.4 ათას ლარს), ხოლო კლებამ - 1 548 857.0 ათასი ლარი (ვალდებულებების კლება LMO ოპერაციების გათვალისწინებით - 1 693 525.7 ათას ლარს). შედეგად 2024 წლის 9 თვეში საშინაო ვალის ნაშთის წმინდა ზრდამ შეადგინა 1 022 368.3 ათასი ლარი, ხოლო LMO ოპერაციების გათვალისწინებით (7 053.4 ათასი ლარი) – 1 029 421.7 ათასი ლარი.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ცვლილება

ათას ლარებში

თვე	საშინაო ვალდებულებების ზრდა	საშინაო ვალდებულებების კლება	საშინაო ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	414,114.6	576,905.6	-162,790.9
საკასო ოპერაციებით	*363,780.3*	*526,571.2*	*-162,790.9*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*50,334.3*	*50,334.3*	*0.0*
თებერვალი	408,365.4	215,918.9	192,446.5
საკასო ოპერაციებით	*306,977.6*	*122,811.9*	*184,165.7*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*101,387.7*	*93,106.9*	*8,280.8*
მარტი	309,929.6	82,857.1	227,072.5
საკასო ოპერაციებით	*309,929.6*	*82,681.5*	*227,248.1*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*175.6*	*-175.6*
აპრილი	275,718.1	85,983.3	189,734.8
საკასო ოპერაციებით	*275,718.1*	*85,602.7*	*190,115.4*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*380.7*	*-380.7*
მაისი	255,288.3	395,120.5	-139,832.3
საკასო ოპერაციებით	*255,288.3*	*395,120.5*	*-139,832.3*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*0.0*	*0.0*
ივნისი	255,307.3	77,860.9	177,446.5
საკასო ოპერაციებით	*255,307.3*	*77,592.3*	*177,715.0*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*268.6*	*-268.6*
ივლისი	265,425.0	143,031.4	122,393.7
საკასო ოპერაციებით	*265,425.0*	*142,731.8*	*122,693.3*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*299.6*	*-299.6*
აგვისტო	261,478.2	37,891.7	223,586.5
საკასო ოპერაციებით	*261,478.2*	*37,891.7*	*223,586.5*

[1] გაცვლის ოპერაცია გულისხმობს არსებული ფასიანი ქაღალდის გამოსყიდვის სანაცვლოდ ახალი ფასიანი ქაღალდის გამოშვებას, რაც წარმოადგენს არასაკასო ტიპის (რეალურად არ ხდება თანხის შემოსვლა/გასვლა) ოპერაციას.

თვე	საშინაო ვალდებულებების ზრდა	საშინაო ვალდებულებების კლება	საშინაო ვალდებულებების ცვლილება
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*0.0*	*0.0*
სექტემბერი	277,320.8	77,956.3	199,364.5
საკასო ოპერაციბით	*277,320.8*	*77,853.4*	*199,467.4*
*არასაკასო LMO ოპერაციებით **	*0.0*	*102.9*	*-102.9*
სულ	**2,722,947.4**	**1,693,525.7**	**1,029,421.7**
საკასო წმინდა ზრდა	***2,571,225.3***	***1,548,857.0***	***1,022,368.3***
არასაკასო LMO ოპერაციებით *	***151,722.0***	***144,668.6***	***7,053.4***

3. ვალდებულებების კლება 924 979.9 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტი
	931,003.8	924,979.9
საშინაო	34,689.4	34,689.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	32,000.0	32,000.0
სესხები	2,689.4	2,689.4
საგარეო	896,314.4	890,290.4
სესხები	890,666.8	884,642.9
სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,647.6	5,647.6

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 34 182 839.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 9 524 122.6 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის:
  - ✓ ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 40 846.0 ათასი ლარი;
  - ✓ სხვადასხვა ვადის მქონე ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160 000.0 ათასი ლარი;
  - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები 337 027.7 ათასი ლარი;
  - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 8 986 249.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 24 658 716.6 ათას ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	ნაშთი 30.09.2024 მდგომარეობით ათასი ლარი
სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი	**24,658,716.6**
მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი	**23,605,358.8**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**17,847,897.7**
მსოფლიო ბანკი (WB)	5,941,861.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	101,365.4

კრედიტორი	ნაშთი 30.09.2024 მდგომარეობით ათასი ლარი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	544,265.7
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	624,140.6
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6,446,169.4
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	3,137,440.8
ევროკავშირი (EU)	405,384.0
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	599,501.2
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	42,672.0
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	5,097.4
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**4,392,611.0**
ავსტრია	32,901.4
აზერბაიჯანი	3,142.7
თურქმენეთი	576.2
თურქეთი	6,119.5
ირანი	2,292.4
რუსეთი	21,481.4
სომხეთი	2,772.3
ყაზახეთი	3,418.5
გერმანია	1,685,996.1
იაპონია	359,921.0
ქუვეითი	29,002.7
ნიდერლანდების სამეფო	72.1
ამერიკის შეერთებული შტატები	21,314.9
საფრანგეთი	2,223,599.9
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,364,850.0**
ევრობონდი	1,364,850.0
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**1,053,357.8**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	1,053,357.8
სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი	**9,524,122.6**
ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	40,846.0
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160,000.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	337,027.7
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	8,986,249.0
სულ სახელმწიფო ვალის ნაშთი	**34,182,839.3**

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობა

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ზღვრული მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 3%-ს. 2024 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი განისაზღვრა 2.5%-ის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს (-294.5) მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0.33%-ია[2].

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ზღვრული მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 60%-ს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრულმა მოცულობამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის 37.0%.[3] ამასთან, ვინაიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ით, ჯამურად ეს ვალდებულებები მშპ-ის 37.1%-ს შეადგენს.

[2] მოიცავს სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემებს. ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემები დაზუსტდება 2025-2028 წლების მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადების დროს;

[3] არ მოიცავს *„ე. წ. „ისტორიული ვალის“ მოცულობას, ვინაიდან აღნიშნულ მაჩვენებელზე არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია.* ამასთან, მთავრობის ვალის მოცულობაში გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სესხის სახით აღებული ვალი, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.